



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 7/15

2023 წლის 29 გვიათ

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების, სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული პირების მატერიალური წახალისების (ჯილდო) წესის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 აპრილის №4/15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

### საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების, სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული პირების მატერიალური წახალისების (ჯილდო) წესის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 აპრილის №4/15 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 21/04/2022 წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.111.016513), კერძოდ:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### „მუხლი 5.

განათლების მუშაკებზე მატერიალური წახალისება (ჯილდო) გაიცემა წელიწადში ერთხელ:

- ა) საჯარო ან კერძო სკოლის წლის საუკეთესო მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;
- ბ) საჯარო ან კერძო სკოლის დამსახურებულ მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;
- გ) სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული საჯარო ან კერძო სკოლის მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;
- დ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის წლის საუკეთესო მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;
- ე) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების წლის საუკეთესო აღმზრდელ-პედაგოგებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;

3) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დამსახურებულ აღმზრდელ-პედაგოგებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;“.

2. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაიცეს მატერიალური წახალისება (ჯილდო) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დამამთავრებელი კლასის წარჩინებულ მოსწავლეებზე, წელიწადში ერთხელ არაუმეტეს - 375 ლარისა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაიცეს მატერიალური წახალისება (ჯილდო) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებულ პირზე წელიწადში ერთხელ არაუმეტეს - 375 ლარისა.“.

3. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მატერიალური წახალისება (ჯილდო) გაიცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურისა და ხელოვნების მუშაკებზე, რომელთაც აქვთ საიუბილეო თარიღი, კერძოდ:

ა) ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაბადებიდან 50 წლის შესრულების და შემდეგ ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 625 ლარისა;

ბ) ღვაწლმოსილ მოღვაწეთა კულტურისა და ხელოვნების სფეროში საქმიანობიდან 30 წლის შესრულების და შემდეგ ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 625 ლარისა;“.

4. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეებზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მატერიალური წახალისება (ჯილდო) გაიცეს არაუმეტეს 625 ლარისა.“.

5. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაიცეს მატერიალური წახალისება (ჯილდო) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურისა და ხელოვნების დამსახურებულ მუშაკებზე წელიწადში ერთხელ არაუმეტეს - 625 ლარისა.“.

6. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მატერიალური წახალისება (ჯილდო) გაიცეს სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებულ ახალგაზრდებზე არაუმეტეს 375 ლარისა.“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ტყებუჩავა

